ხელშეკრულება № 6-32

ქ. ლაგოდეხი „17" - 08 - - - 2016წ.

ჩვენ, ერთიმხრივ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეგელი კარლო ჯამბურიას სახით, შემდგომში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი", ხოლო, მეორე მხრივ ---სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვანდოლოების საჯარო სკოლა---

შემდგომში "ობიექტად" წოდებული, თანახმად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 თებერვლის №9 დადგენილების საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებას ვდებთ შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ობიექტის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების გატანა, ტრანსპორტირებას და დასუფთავების გაწევის მომსახურებისათვის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდა. CPV 90512000

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. ხელშეკრულების პირველ მუხლში აღნიშნულ მომსახურებას, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი ახორციელებს ტენდერში გამარჯვებულიორგანიზაციის მეშვეობით.

2.ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა იღებს ვალდებულებას შესაბამისი სამსახურის მეშვეობით „ობიექტის" ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები გაიტანოს კვირაში --1--ჯერ.

3. ობიექტი ვალდებულია წარმოქმნილი ნარჩენები მოაგროვოს და განათავსოს სპეციალურ ურნებში.

4. ობიექტი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მოითხოვოს როგორც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტიდან, ისე მომსახურე ორგანიზაციიდან.

5. ობიექტი უფლებამოსილია, სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობის სრულ ან ნაწილობრივ შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, გამგეობას მოსთხოვოს მოსაკრებლის დარიცხვის შეწყვეტა ან კორექტირება.

6. ობიექტი ვალდებულია სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობის სრულ ან ნაწილობრივ შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, ასევე იურიდიული მისამართის ან სხვა ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, დაუყონებლივ, აცნობოს მუნიციპალიტეტს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად და მასზე არ გავრცელდება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი არანაირი ღონისძიება.

7. მე-5 პუნქტში მოცემულ შემთხვევაში ობიექტის მესაკუთრე/მოსარგებლე ვალდებულია მუნიციპალიტეტს წარუდგინოს დარიცხვის ან კორექტირების შეწყვეტის საფუძვლები, დამოწმებული შესაბამისი ორგანოების მიერ.

მუხლი 3. ანგარიშსწორების პირობები

1. ობიექტისთვის ყოველთვიური მომსახურების ღირებულება შეადგენს

15 ლარი

2. ობიექტი ვალდებულია მომსახურების ღირებულება ჩარიცხოს ყოველთვიურად არაუგვიანეს 25რიცხვამდე ან ყოველ კვარტლის დასაწყისში წინასწარ.

3. თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ობიექტს დაერიცხება საურავი გადასახდელი თანხის 0.1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4. მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული მონაცემების შეცვლის შესახებ.

მუხლი 4. ხელშეკრულებით განსაზღვრული ანგარიშსწორების პირობების ინსპექტირება

1.ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილია მოახდინოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ანგარიშსწორების პირობების ინსპექტირება, კერძოდ, მესამე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული მონაცემების სისწორე გადაამოწმოს ნებისმიერ დროს, უფლებამოსილი პირების მეშვეობით.

2. ობიექტი ვალდებულია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ პირს ხელი შეუწყოს მათ მიერ განხორციელებული ინსპექტირებაში და არ დაუშვას მათი ხელშეშლა.

3. მხარეები უფლებამოსილნი არიან ანგარიშსწორების თაობაზე ნებისმიერ დროს მოსთხოვონ ერთმანეთს შედარების აქტის შედგენა, მიუხედავად იმისა, ეთანხმებიან თუ არა მის სისწორეს.

მუხლი 5. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილი ქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

2. ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები. აგრეთვე, ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 7. სხვა პირობები

1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

2. ხეკშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერიმი მოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან.

2. ხელშეკრულება დადებულია 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. ვადის გასვლის შემდეგ, მხარეების მიერ ახალი ხელშეკრულების გაფორმებამდე ეს ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება 1 წლის ვადით, ვიდრე მხარეები წერილობით არ შეთანხმდებიან მის შეწყვეტაზე.

მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი:

TRESGE22

GE24NB0330100200165022

საიდენტიფიკაციო კოდი:233144987

შემოსავლების სახაზინო კოდი: 300573189

მხარეთა ხელმოწერები

დამკვეთი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის

გამგებლი

---------- კარლო ჯამბურია

ორგანიზაციის (ფირმის) დასახელება სსიპ ლაგოდეხის მუნიც. ვარიანის საჯარო სკოლა

მისამართი ლაგოდეხი სოფ. ვარიანი

ს/კოდი 233137922

საკონტაქტო ტელეფონი № 577 255 422

ორგანიზაციის (ფირმის) ხელმძღვანელი----------

ბ.ს.